



სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“

პროგრამების კატალოგი



თბილისი, გ. ფანჯიკიძის 3 (0160)



032 2 200 220 (5055)



www.itvet.ge



info@itvet.ge





მისია:

ჩვენი მისიაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენების ხელშეწყობა.

ხედვა:

2030 წლისთვის კოლეჯი წამყვანი დაწესებულებაა IT განათლების მიმწოდებელთა შორის, საჯარო და კერძო სექტორის დამსაქმებლებისთვის.

ღირებულებები:

კოლეჯი მისიის შესრულებისას ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: მაღალი პროფესიონალიზმი და უწყვეტი პროფესიული განვითარება; აკადემიური და პიროვნული განვითარების თავისუფლება; თანამშრომლობა და გუნდურობა; განათლების ინკლუზიურობა; გამჭვირვალობა და სამართლიანობა.



კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ფუნქციონირებს 2007 წლიდან. სწავლება ხორციელდება სამი მიმართულებით: საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამები (მოდულური და ინტეგრირებული მიდგომით), პროფესიული მომზადების პროგრამები და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები. კოლეჯის დაარსებიდან 2024 წლამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მომზადების პროგრამები და ტრენინგ-კურსები გაიარა ათასობით მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. ბიზნეს სექტორთან მჭიდრო პარტნიორობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიარონ სრულყოფილი პრაქტიკა, სტაჟირება და ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიან სპეციალისტებად. კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია.



კოლეჯის ბაზაზე ფუნქციონირებს “CISCO” აკადემია და რეგისტრირებულია „UNESCO-UNEVOC“-ის საერთაშორისო ცენტრის ოფიციალურ წარმომადგენლად საქართველოში. საქართველოს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭოს და ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის მიერ დაჯილდოვდა, როგორც გამარჯვებული ნომინაციაში – “IT განათლების საუკეთესო მიმწოდებელი”.



კოლეჯმა ესტონურ ფონდ INNOVE-თან წლების განმავლობაში ითანამშრომლა არაერთი პროექტის ფარგლებში, რომლის წარმატების შედეგები გაზიარებულია პროფესიული განათლების სივრცეში.





ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროგრამის პროფესიული სტუდენტი ნიკოლოზ წიკლაური გამარჯვებული გახდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსის წლის პროფესიული განათლების სტუდენტის კატეგორიაში.

Cisco Networking Academy Netriders-ის კონკურსში მონაწილე 23 ქვეყნიდან, მეორე ტურში გადასული 347 მონაწილიდან ათეულში მოხვდა აკადემიის ოთხი სტუდენტი. ნოდარ ჭანკოტაძეს კი Cisco Netowrking Academy-გან გადაეცა CompTIA A+ სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის ვაუჩერი.



კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრში „ჰაკათონი“. დონისძიების ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა საკუთარი ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური იდეის პროტოტიპები შექმნეს.

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ - წლის საუკეთესო პროფესიული კოლეჯი.





2023 წელს WorldSkills საქართველოს ეროვნული კონკურსის ვებ ტექნოლოგიების მიმართულებით გამარჯვებული გახდა კოლეჯის სტუდენტი საბა ავლოხაშვილი, რომელიც საქართველოს წარადგენს საფრანგეთში WorldSkills მსოფლიო კონკურსზე.



კოლეჯში პერიოდულად ტარდება შიდა ოლიმპიადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და გამარჯვებული პროფესიული სტუდენტები ჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით.



კოლეჯი თბილისსა და რეგიონებში ახორციელებდა „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ პროექტს „კომპიუტერის ტექნიკოსის“ და „გრაფიკული დიზაინერის“ მიმართულებით, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიული განათლების გაცნობასა და პროფესიული უნარების განვითარებაზე. მოსწავლეები, რომელთაც დაასრულეს პროგრამა აღნიშნავენ, რომ კურსი ძალიან სახალისო და საინტერესოა.



პროფესიულმა სტუდენტებმა კოლეჯში ვებ ინტერფეისის დეველოპერის პროგრამაზე სწავლისას დაარსეს კომპანია “Web House”, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს და მასთან სხვადასხვა მიმართულების ბევრი კომპანია თანამშრომლობს. “Web House” ამზადებს ვებ გვერდებსა და ლოგოებს და ამასთან ერთად უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის დიზაინს.

„კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროგრამაზე სწავლის პერიოდში პროფესიულმა სტუდენტებმა დაარსეს კომპანია “IT HOUSE“, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების სფეროში. “IT HOUSE“ ეწევა მრავალმხრივ კომპიუტერულ საქმიანობას და მომხმარებლებს სთავაზობს მაღალხარისხიან მომსახურებას. კომპანია ორიენტირებულია Cisco-ს სტანდარტებზე და მუშაობს უსაფრთხოების სრული დაცვით.



კომპანიის “IT HOUSE“ დევიზი - **Need IT, We Do IT** შექმნა გუნდის წევრმა თამარ კვატაშიძემ, ხოლო ლოგო პარტნიორი კომპანიის “Web House” დიზაინერმა მარიამ ჭკადუამ დაამზადა. ზემოთხსენებული ორი კომპანია ურთიერთთანამშრომლობაშია და ზრდის მომსახურების არეალს.

პროექტები:



პროფესიული განათლება
ეკონომიკის განვითარებისთვის
INDUSTRY-LED SKILLS AND
WORKFORCE DEVELOPMENT



კოლეჯს მონაწილეობა მიღებული აქვს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს (MCA-G) პროექტის - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (INDUSTRY-LED SKILLS AND WORKFORCE DEVELOPMENT PROJECT) მცირე საგრანტო პროგრამაში - „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გაუმჯობესება“ (STRENGTHENING TVET PROVIDER PRACTICE GRANTS) და გრანტი მოიპოვა წარდგენილი პროექტით - „არაფორმალური განათლების აღიარების მეთოდოლოგიის დანერგვა“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა შესაძლებლობების გაძლიერება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დანერგვის პროცესში - არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების განხორციელების მეთოდოლოგიის სწავლება გავრცელება და დანერგვის მხარდაჭერა, კერძო და სახელმწიფო პროფესიულ/საზოგადოებრივ კოლეჯებში. აღნიშულმა პროექტმა ხელი შეუწყო კოლეჯების მზაობას კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელებაში.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, პროფესიული განათლების სექტორში ინდუსტრიის მონაწილეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის III რაუნდის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა „JumpStart GEORGIA“ პროექტით „GOGO Code“, რომელსაც პარტნიორობა გაუწია ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიამ. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ტექნოლოგიებში გენდერული დისბალანსის აღმოფხვრა, პროგრამირების როგორც „მამაკაცების პროფესიის“ სტერეოტიპის დამსხვრევა და თინეიჯერი გოგონების ჩართულობის წახალისება STEM-ში, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ვებ ტექნოლოგიების მიმართულებით.



კოლეჯი ქართულ - ესტონური პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს ტალინის პოლიტექნიკურ კოლეჯთან. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ტალინის კოლეჯში განხორციელდა ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგობრივი სტაჟირების პროგრამა, ხოლო ტალინის კოლეჯის ტრენერებმა ჩაატარეს დარგობრივ მასტერკლასები როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.



2021 წელს „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიამ“ MASHAV-ის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „სამეწარმეო პოტენციალის და განათლების გაძლიერება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“.

პროექტი მიზნად ისახავდა, სამეწარმეო უნარების დანერგვასა და გაუმჯობესებას - IT მიმართულებით მიღებული ცოდნის საშუალებით. რის საფუძველზეც პროექტის ფარგლებში მონაწილე გუნდის წევრებს ჩაუტარდათ ერთიანი ტრენინგი სამეწარმეო და ციფრული კომპეტენციების მიმართულებით.

MVP ჰაკათონის საფუძველზე ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული გუნდი და საჩუქრად გადაეცათ ნოუთბუქები.

“საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგში პროფესიული განათლებისა და სწავლების სისტემის მოდერნიზაცია” პროექტის ფარგლებში პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „სამეწარმეო და ციფრულ კომპეტენციებში“.

მიმდინარე ეტაპზე კოლეჯის თანამშრომლები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ისეთი სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების მიერ, როგორებიცაა - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, GIZ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, მსოფლიო ბანკი, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.



სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ - კატალოგი
კოლეჯის პარტნიორები

➤	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
➤	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS)
➤	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
➤	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
➤	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
➤	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
➤	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
➤	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
➤	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
➤	პროფესიული უნარების სააგენტო Skills Agency Georgia
➤	დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო
➤	შპს „ფენიქს თრეიდინგი“
➤	შპს „ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა“
➤	შპს „ფენიქს აგრეგატი და ასფალტი“
➤	შპს „სქაი ჰაი“
➤	შპს „სქაი ფენიქსი“
➤	შპს „ფენიქს მიკროფინანსები“
➤	შპს „სპექტრუმი“
➤	შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
➤	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
➤	შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“
➤	შპს „ახალი ქსელები“
➤	სს „სილქნეტი“
➤	შპს „ფენიქს ბაზალტი“
➤	სს „თბილისის თამბაქო“
➤	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
➤	შპს „ვივა სოლუმენი“
➤	ა(ა)იპ „NOOSFERA FOUNDATION“
➤	ააიპ ასოციაციების მართვის ცენტრი
➤	შპს „იუდიჯი“
➤	შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“
➤	შპს „ორიენტ ლოჯიკი“
➤	შპს „ბეტა“
➤	შპს `CoolGroup“
➤	შპს "Cloud9"
➤	შპს „ევროპის უნივერსიტეტი“
➤	სსიპ - „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“
➤	სსიპ - „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო“
➤	შპს „ორიენტ ლოჯიკი“
➤	შპს „გლობუსი“
➤	შპს „აითიეს“
➤	შპს „ულტრა“



საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამები

ფართო სფერო: 06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

ვიწრო სფერო: 061 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

დეტალური სფერო: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება

1. 0612 ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდული)
2. 0612 კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური, ინტეგრირებული)
3. 0612 კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (მოდულური)
4. 0612 ვებტექნოლოგიები (მოდულური, ინტეგრირებული)

პროგრამების მოცულობა და ხანგრძლივობა

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	დონე	წინაპირობა	ქართულენოვანი		არაქართულენოვანი	
				კრედიტები	სასწავლო კვირა	კრედიტები	სასწავლო კვირა
1	ინფორმაციის ტექნოლოგია	III	საბაზო განათლება	61	43	76	54
2	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	IV	სრული ზოგადი განათლება	90	63	120	85
3	კომპიუტერული ქსელი და სისტემები ინტეგრირებულად	IV	საბაზო განათლება	148	110	178	132
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება	V	სრული ზოგადი განათლება	125	86	155	108
5	ვებტექნოლოგიები	IV	სრული ზოგადი განათლება	64	48	94	70
6	ვებტექნოლოგიები ინტეგრირებულად	IV	საბაზო განათლება	114	108	144	130

ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით აღნიშნულ პროგრამებზე სწავლას დაიწყებენ ქართული ენის მოდულით/მოდულებით. საბაზო დონის პროგრამებისთვის ქართული ენა A2 - 15 კრედიტი, ხოლო საშუალო დონის პროგრამებისთვის დამატებით ქართული ენა B1 - 15 კრედიტი.



სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების სტატუსის მქონე პირი კოლეჯში ჩაირიცხება ალტერნატიული გამოცდის, ე.წ. პროფესიული მოსინჯვის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში სსსმპ სტუდენტი პროგრამას გადის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამები

ინფორმაციის ტექნოლოგია

პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით.

I. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში/Basic Vocational Qualification in Information Technology Support

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612.

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

III. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს იმ სხვადასხვა ტიპისა და იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციაში (სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაცია ან კერძო კომპანია), სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის ან ტექნიკოს-ოპერატორის ან ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტის პოზიციაზე. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობას.

ევონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

IV. პროგრამის მიზანი: პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.



კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროგრამა ხორციელდება მოდულური და ინტეგრირებული მიდგომით

I. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში/Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems.

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612.

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

III. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.02.0; 62.03.0

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3513

IV. პროგრამის მიზანი: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
- Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
- ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება;
- ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
- დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
- ფაილური და ბეჭდვის სერვერის ბაზისური მართვა;
- სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
- Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;
- Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
- Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
- კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
- სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
- დინამური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
- კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
- ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.



კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით

I. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში/Higher Vocational Qualification in Computer Network Administration.

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებას და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“.

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

III. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ საჯარო ან კერძო სტრუქტურაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 61.10.0; 61.20.0; 61.90.0
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3513

IV. პროგრამის მიზანი: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების პროგრამის მიზანია კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.

V. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის გამართვა;
- EIGRP და OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლების კონფიგურაცია;
- გლობალური ქსელის ტექნოლოგიების განსაზღვრა;
- გამოყოფილი არხების გამართვა;
- დაშორებულ ოფისებთან წვდომის ორგანიზება;
- ქსელში შეცდომების იდენტიფიცირება/აღმოფხვრა
- SNMP და Net low პროტოკოლების კონფიგურირება;
- წვდომის სიების (ACL) აგება და მართვა;
- ვირტუალური კერძო ქსელის აგება;
- ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამედროვე საფრთხეების გარჩევა;
- ქსელური მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ACL (Access Control Lists) -ების გაფართოებული კონფიგურირება;
- ქსელური შეტევებისგან თავდაცვისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდების გარჩევა;
- ლოკალური ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ბრენდმაუერის კონფიგურირება.



ვებტექნოლოგიები

პროგრამა ხორციელდება მოდულური და ინტეგრირებული მიდგომით

- I. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში/Secondary Vocational Qualification in Web Technology
- II. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
 - სრული ზოგადი განათლება;
 - საბაზო ზოგადი განათლება - იმ პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
- III. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდაჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.
- IV. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია ვებტექნოლოგიების სფეროსთვის ისეთი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front-ის მხარე).
- V. **სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

 - შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას
 - გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
 - გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
 - მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
 - დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
 - შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
 - მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
 - შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
 - მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
 - დაამუშავოს ვექტორული გამოსახულება
 - შექმნას ვებგვერდის მულტიმედიური კონტენტი
 - შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.



საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება დაუდასტურებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 8 კალენდარული დღის ვადაში. პირობები განისაზღვრება ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
6. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯის პრეროგატივას.

მოდულური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პროფესიული სტუდენტისათვის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების წესი განსაზღვრულია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის დებულებით.



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები

N	პროგრამის სახელწოდება	საათობრივი დატვირთვა	ხანგრძლივობა
1	PHP დეველოპინგი	120	10 კვირა
2	ვებ გვერდის ინტერფეისის მოდელირება (Mark up)	120	14 კვირა
3	JavaScript დეველოპერი	120	8 კვირა
4	მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)	54	9 კვირა (6 კვირა online)
5	ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java-ზე	264	22 კვირა
6	სამგანზომილებიანი გრაფიკა 3Ds Max	144	16 კვირა
7	გრაფიკული დიზაინი	135	15 კვირა
8	საგამომცემლო საქმის დიზაინერი	120	10 კვირა
9	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	67	8 კვირა



PHP დეველოპინგი

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის კვლევების შედეგად დადგენილი მოთხოვნებისა და ტენდენციების შესაბამისად მოამზადოს კონკურენტუნარიანი მსმენელები საჯარო ან/და კერძო სექტორში დამწყები პროგრამისტის პოზიციაზე დასაქმებისთვის, კურსდამთავრებულებს ასევე ექნებათ თვითდასაქმების შესაძლებლობა.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირაა, რომელიც მოიცავს 120 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში კვირაში ოთხჯერ, 3 აკადემიური საათი. მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საბაზისო PHP კონსტრუქციების დანიშნულების გაანალიზება და მინიმალისტური ვიზუალური პროექტის შექმნა;
- სტრიქონების და მასივების შესაბამისი ფუნქციების მეშვეობით დამუშავება;
- დროისა და თარიღის დამუშავება; ფაილურ სისტემასთან სამუშაო ფუნქციების დანიშნულების გაანალიზება და საკუთარი ფუნქციების შექმნა;
- ინფორმაციის მიმოცვლის განხორციელება HTML ფორმებსა და PHP მოდულებს შორის, ფორმის ვალიდაციის უზრუნველყოფა;
- cookie-სთან და სესიებთან სამუშაო ფუნქციების დანიშნულების გაანალიზება და ინფორმაციის კრიპტაციის ფუნქციებით დაშიფვრა;
- დავალების შესაბამისი ცხრილების სტრუქტურის შექმნა;
- ბაზებთან და ცხრილებთან მიმართებაში ძირითად ოპერაციების შესრულება PHPMYADMIN-ის გარემოში.
- ბაზასთან სამუშაო CRUD ფუნქციების დანიშნულებისამებრ გამოყენება;
- ბაზაში მონაცემების სხვადასხვა კრიტერიუმებით მოძიება;
- მარტივი და ერთმანეთზე დამოკიდებული კლასების (მემკვიდრეობითობა) შექმნა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ასაკობრივი ზღვარი - არანაკლებ 14 წელი

- HTML - საბაზისო დონეზე ცოდნა;
- CSS - საბაზისო დონეზე ცოდნა;
- JavaScript - საბაზისო დონეზე ცოდნა.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14



ვებ გვერდის ინტერფეისის მოდელირება (Mark up)

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს მზა დიზაინისგან ვებ გვერდის მარკირებისა და სტილებით გაფორმებისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები საჯარო ან/და ასევე კერძო სექტორში დამწყები mark-up დეველოპერის პოზიციაზე დასაქმებისთვის.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის ხანგრძლივობაა 14 კვირაა, რომელიც მოიცავს 120 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში კვირაში სამჯერ 3 აკადემიური საათი. მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ვებ გვერდის სტრუქტურის აგება;
- ვებგვერდზე ობიექტებისა და ბმულების ასახვა;
- ვებგვერდზე ფორმების ასახვა;
- ვებგვერდის ელემენტების გაფორმება სტილებით;
- Bootstrap-ის ბიბლიოთეკის მოძიება/იმპლემენტაცია და grid სისტემის განხილვა;
- ვებსაიტის მაკეტის შექმნა და მორგება სხვადასხვა მოწყობილობებზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

საბაზისო აკადემიური უნარები

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 14



JavaScript დეველოპერი

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავებისა და გამოყენებისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა, რომელიც მოიცავს 120 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გარდა) 3 აკადემიური საათი. პროგრამა დაფუძნებულია მოდულის პრაქტიკულ სწავლებაზე: ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript 0611405.

მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მარტივი (წრფივი) ამოცანის გადაწყვეტა JavaScript ენის ძირითადი ელემენტების გამოყენებით;
- ამოცანის გადაჭრა ძირითადი კონსტრუქციების გამოყენებით;
- მასივებთან მუშაობა;
- ბრაუზერთან სამუშაო (უტილიტარული) ფუნქციების გამოყენება;
- JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: საშუალო

მარქაფირების ენის ცოდნა

მათემატიკური უნარების და ინგლისურის (B1) ტესტი

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 14



მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)

(შესაძლებელია Online)

პროგრამის მიზნები: სასწავლო კურსი ითვალისწინებს ელექტრონულ ცხრილებში გაღრმავებული ცოდნისა და მუშაობის ისეთი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორცაა მონაცემების შეგროვება, ორგანიზება, კლასიფიცირება, სისტემატიზაცია, პირველადი დამუშავება, გაანალიზება, მარტივი და რთული გამოთვლების ჩატარება. სასწავლო პროგრამა გულისხმობს იმ ცოდნის მიღებას, რომელსაც აქტიურად იყენებს ნებისმიერი მიმართულების, განსაკუთრებით კი, დიდი და მცირე ბიზნესის სხვადასხვა სპეციალისტი, როგორცაა ფინანსისტი, ბუღალტრი, აუდიტორი, მენეჯერი და ზოგადად ყველა, ვისაც საქმე აქვს რიცხვით და არა მარტო რიცხვითი მონაცემების დამუშავებასთან და ანალიზთან.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამის ხანგრძლივობაა 9 კვირა (online სწავლის შემთხვევაში 6 კვირა), რომელიც მოიცავს 54 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში კვირაში სამჯერ 2 აკადემიური საათი. მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ. დასკვნითი შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას პროექტის მომზადებისა და წარდგენის გზით.

პროგრამა წარმატებით გავლილად ჩაითვლება მსმენელის მიერ 50-ზე მეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებისას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს. პროგრამა მორგებულია როგორც საჯარო, ასევე კერო სექტორში ფინანსისტის, ბუღალტრის, აუდიტორის პოზიციაზე მომუშავე იმ პირის საჭიროებებზე, რომელიც ახორციელებს რიცხვით და არა მარტო რიცხვითი მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ელექტრონული ცხრილების შექმნა/დაფორმატება;
- მონაცემთა შეყვანა და მართვა;
- ფორმულებისა და ფუნქციების გამოყენებით მონაცემთა მარტივი ანალიზი; შედეგების როგორც ციფრებით, ისე გრაფიკულად წარმოდგენა;
- MS Excel-ის შესაძლებლობების საკუთარ დარგობრივ სფეროში გამოყენება;
- დიდ ცხრილებთან მუშაობა, მონაცემთა სწრაფად დამუშავება და ანალიზი;
- ფუნქციებისა და ფორმულების გამოყენებით რთული კალკულაციების მართვა;
- ჩადგმული ფუნქციების გამოყენებით მონაცემებზე სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარება;
- რთული ცხრილების დინამიური გარდაქმნებით დამუშავება და შედეგების სხვადასხვა ხედებში მარტივად წარმოდგენა;
- მონაცემების აღწერით ანალიზის გამოყენება, როგორც ფინანსური, ისე სტატისტიკის
- მიმართულებით;
- მონაცემთა აუდიტი/შემოწმება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: საშუალო

პროგრამაზე დაშვებას განსაზღვრავს მათემატიკური უნარების და ინგლისური ენის (B1) ტესტი.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14



ალგორითმები, სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული და ენტერპრაიზ დაპროგრამება Java -ზე

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელმა შეძლოს ალგორითმის სწორად შემუშავება და დაეუფლოს სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების საფუძვლებს. ააწყოს ან ცვლილებები შეიტანოს დამოუკიდებელ აპლიკაციებში (standalone application), ვებ-სერვისულ აპლიკაციებში (web-services)

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამის ხანგრძლივობაა 22 კვირაა, რომელიც მოიცავს 264 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში.

მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ. დასკვნითი შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას პროექტის მომზადებისა და წარდგენის გზით.

პროგრამა წარმატებით გავლილად ჩაითვლება მსმენელის მიერ 50-ზე მეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებისას.

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს როგორც საჯარო, ასევე კერო სექტორში დამწყები პროგრამისტის/Junior პროგრამისტის პოზიციაზე დასაქმებას და ექნება პროფესიაში სიახლეების ათვისებისა და თვითგანვითარებისთვის საჭირო უნარები. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის პარადიგმების გაანალიზება;
- ამოცანის პროექტირება ობიექტზე ორიენტირებული გზით;
- კლასებსა და ობიექტებთან მუშაობა;
- მარტივი პროგრამული კოდის დაწერა;
- web-service პროგრამის შექმნა;
- ე.წ. უკანა მხრის სრულყოფილი და დამოუკიდებელი აპლიკაციის შექმნა.
- ამოცანის ამოხსნის შესაბამისი ალგორითმების სხვადასხვა სახით წარმოდგენა;
- ალგორითმის ეფექტურობის შეფასება;
- რეკურსიული და არარეკურსიული ალგორითმების შემუშავება;
- დახარისხების და ძებნის ალგორითმებთან მუშაობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: საშუალო;

მათემატიკურ/ლოგიკური აზროვნება.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14



პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შეასწავლოს მსმენელებს სამგანზომილებიანი გრაფიკა (3Ds Max). მისცეს მათ საშუალება გაეცნონ სამგანზომილებიან პრინტერებთან მუშაონის პრინციპებს და თავისებურებებს. კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები დამოუკიდებლად შეძლებენ სამგანზომილებიანი ობიექტების შექმნას, პერსონაჟების მოდელირებას, ტექსტურირებას და ვიზუალიზაციას 3D პროგრამის გამოყენებით; კურსდამთავრებულებს ასევე ექნებათ თვითდასაქმების შესაძლებლობა.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა, რომელიც მოიცავს 144 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში კვირაში სამჯერ, 3 აკადემიური საათი.

მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. დასკვნითი შეფასება მოიცავს სწავლის პროცესში მსმენელის მიერ შექმნილი ნამუშევრების პორტფოლიოს და სამგანზომილებიან პრინტერზე დაბეჭდილ მარტივი სამგანზომილებიანი მოდელის პრეზენტაციას.

პროგრამა წარმატებით გავლილად ჩაითვლება მსმენელის მიერ 50-ზე მეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებისას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს. კურსდამთავრებულებს ექნებათ პროფესიაში სიახლეების ათვისებისა და თვითგანვითარებისთვის საჭირო უნარები, სამგანზომილებიან პრინტერებთან მუშაობის გამოცდილება.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სამგანზომილებიან რედაქტორში ინტერფეისის ელემენტების მართვა;
- სამგანზომილებიანი ობიექტების მოდელირება და სამგანზომილებიან პრინტერზე
- საკუთარი შექმნილი მოდელის ბეჭდვა;
- სამგანზომილებიანი ობიექტების ტექსტურირება, სტანდარტულ მატერიალებთან და
- განათებასთან მუშაობა;
- ვიზუალიზაცია Corona რენდერის მეშვეობით;
- რენდერის ფაილების დამუშავება (Post production) და პორტფოლიოს შექმნა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: საბაზო

მათემატიკურ/ლოგიკური აზროვნება.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14



სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ - კატალოგი გრაფიკული დიზაინი

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მისცეს მსმენელებს ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რათა შეემლოთ დამოუკიდებლად ან/და ჯგუფში მუშაობისას შეიმუშაონ და შექმნან თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით დახვეწილი და კრეატიული გრაფიკული ნამუშევრები.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამის ხანგრძლივობაა 15 კვირა, რომელიც მოიცავს 135 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კვირაში სამჯერ, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში. მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ. დასკვნითი შეფასება მოიცავს მსმენელის მიერ შექმნილი ნამუშევრების პორტფოლიოსა და დასკვნითი ნამუშევრის- სარეკლამო პოსტერის პრეზენტაციას. პროგრამა წარმატებით გავლილად ჩაითვლება მსმენელის მიერ 50-ზე მეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებისას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ვებგვერდისთვის მარტივი გამოსახულების შექმნა
- ვებგვერდისთვის მარტივი გამოსახულების რედაქტირება
- ტექსტთან მუშაობა ვებგვერდისთვის
- ვექტორული ობიექტების შექმნა/დამუშავება ვებგვერდისთვის
- ვებგვერდისთვის რასტრული გამოსახულების რეტუში
- ვებგვერდისთვის გამოსახულების დამუშავება ნიღბებისა და ფილტრების გამოყენებით
- ვექტორული ობიექტების შექმნა შესაბამისი თვისებების გათვალისწინებით
- ვექტორული ობიექტების რედაქტირება/ტრანსფორმაცია
- დამატებითი ეფექტების შექმნა და გამოყენება
- დოკუმენტის მომზადება დასაბეჭდად

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: საბაზო

ინგლისური ენა B1; ლოგიკური აზროვნება.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14



საგამომცემლო საქმის დიზაინერი

პროგრამის მიზნები: პროფესიული პროგრამის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება, რომელიც შეძლებს იმუშაოს გამომცემლობებსა და სხვა სარეკლამო კომპანიებში, ან/და დისტანციურად დამოუკიდებელ მომუშავედ და შექმნილი ცოდნის საფუძველზე გამომუშავებული დამატებითი ტრანსფერის უნარები გამოიყენოს მომიჯნავე სფეროებში.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, რომელიც მოიცავს 120 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კვირაში ოთხჯერ, სამი აკადემიური საათი. თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში. მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ. დასკვნითი შეფასება მოიცავს მსმენელის მიერ შექმნილი ნამუშევრების პორტფოლიოსა და დასკვნითი ნამუშევრის - ილუსტრირებული წიგნის ელექტრონული ფაილის პრეზენტაციას. პროგრამა წარმატებით გავლილად ჩაითვლება მსმენელის მიერ 50-ზე მეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებისას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერტიფიკატს. კურსდამთავრებულებს ექნებათ პროფესიაში სიახლეების ათვისებისა და თვითგანვითარებისთვის საჭირო უნარები.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ფლაერების, ბუკლეტების, სავიზიტო ბარათების დიზაინის შექმნა/დამუშავება
- გარეკანის დიზაინის შექმნა და ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინება საბეჭდი და ელექტრონული პუბლიკაციისთვის
- წიგნის დიზაინი და მაკეტირება
- დოკუმენტის ტექნიკური შემოწმება ვარგისიანობაზე - საბეჭდი და ელექტრონული ვერსიის შემოწმება და დამკვეთისგან მიღებულ მასალაში ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა
- დოკუმენტის ექსპორტირების საკითხები
- ინტერაქტიულ დოკუმენტთან მუშაობა
- პდფ- ფაილის რედაქტირება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

განათლება: საშუალო
ლოგიკური აზროვნება.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: ტესტირება/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14



საოფისე კომპიუტერული პროგრამები

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელი მოამზადოს შემდეგი პროფესიული უნარებით: სამუშაო მიზნების რეალიზებისათვის საჭირო IT ინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენება, ტექსტური დოკუმენტის მომზადება (MS word), პროფესიის შესაბამისი ელექტრონული ცხრილების მომზადება (MS excel), პრეზენტაციის მომზადება (MS power point), კომუნიკაცია ელ-ფოსტის მეშვეობით.

პროგრამის მოკლე აღწერა: „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ - არის მოკლევადიანი მომზადების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კონკურენტული კადრების მომზადებას შრომის ბაზარზე საოფისე კომპიუტერული პროგრამების მიმართულებით, დროის მოკლე მონაკვეთში. პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ცოდნითა და უნარით, რაც საჭიროა საოფისე საქმიანობის განსახორციელებლად (windows elements, MS word, MS excel, MS powerpoint, mail).

პროგრამის ხანგრძლივობა 8 კვირაა, რომელიც მოიცავს 67 საკონტაქტო საათს. მეცადინეობები ტარდება კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ გარემოში, კვირაში სამჯერ, 3 აკადემიური საათი (მე-8 კვირა -ერთი გაკვეთილი 4 აკადემიური საათი). მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ (38 სთ). დასკვნითი შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას. პროგრამა წარმატებით გავლილად ჩაითვლება მსმენელის მიერ 50-ზე მეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში, როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებისას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფო სერთიფიკატს. პროგრამის განხორციელება შესაძლებელია სრულიად დისტანციურ რეჟიმში.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება:

- სამუშაო მიზნების რეალიზებისათვის საჭირო IT ინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენება
- პროფესიის შესაბამისი ტექსტური დოკუმენტის მომზადება
- პროფესიის შესაბამისი ელ ცხრილების მომზადება
- პროფესიის შესაბამისი პრეზენტაციის მომზადება
- კომუნიკაცია ელფოსტის მეშვეობით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: განათლება: საბაზო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: ტესტირება (ლოგიკური აზროვნება)/გასაუბრება

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 14